

მასხარა

კარიკატურებიანი გაზეთი „მასხარა“ გამოვა კვირაში ერთხელ ცალკე ნომერი ელირება ყველაზე 10 კაპ. წლიურ კელის მომწერთ ნ. მ. თვეურათ კი—80. კაპ. რედაქციის მისამართი ადრესი

Тифлисть, Типографія Т-ва „Сорапаны“ для газеты „Масхара“

1907 წ.

ყოველკვირეული კარიკატურებიანი გაზეთი.

№ 1.



ექსპოპრიაცია.

სულიგანი ღმირის ნანა:

ნანა, შვილო, ნანი ნანა,
ჩემო პაწაწაო,
ჩემო ღმერთო, ანგელოზო,
ჩემო ლურჯო ცაო!
პატარა ხარ ჯერ ვერა გრძნობ
თავს რა დაგვეცაო:
რუსეთი მთლათ იღუბება—
თავზე დაგვექცაო!

ნანა, შვილო, ნანი ნანა,
ჩემო პაწაწაო,
მამაშენი კრუსევიანთან
გუშინ გაიქცაო,
რომ „პაგრომი“ მოახდინონ
დღეს და ხვალაცაო,
ამოწყვეტონ ურიების
სახლიც, კარიცაო!

ნანა, შვილო, ნანი ნანა,
ჩემო პაწაწაო,
ჩემო პაწა ხულიგანო,
შენკი გენაცვაო!
დიდ რუსეთის პატრიოტო,
ცოტაც დაგვეცაო,
ჯაშუშობას შეგასწყველით
მეც და მამაცაო!..

ნანა, შვილო, ნანი ნანა,
ჩემო პაწაწაო,
მძვე მძის მკვლელობის ერთგულო,
ლოთო, ბარბაცაო!
ბროლიაგების მოგვარევე,
გიჩევე ამასაო:
„პოგრომების“ მოწყობაში
სჯობდე მამასაო!..

ნანა, შვილო, ნანი ნანა,
ჩემო პაწაწაო,

ღმერთსა ვსთხოვე, რომ ნიქი მოგცეს
ბულაცელისაო,
არ ჩამორჩე კრუსევიანს და
პურიშკევიჩსაო,
ლოცვა კურთხევა გწყალობდეს
ილიოდორისაო!

ნანა, შვილო, ნანი ნანა,
ჩემო პაწაწაო,
გწყალობდეს წმიდა სერაფიმ
დიდ საროვისაო,
მადლი ანტონის, ევლოგის
და პლატონისაო,
ემბაზი ჯაშუშობისა,
ჯვარი თანდრისაო!


ნანა, შვილო, ნანი ნანა,
ჩემო პაწაწაო,
ჩემო ტურფა, კუპიდონო
ჯოჯოხეთისაო!

ერთგულთა ცუცავ ორგულ-
და შთავარობისაო, | ლთა
მტერო კამოლნიკებისა,
ურჩიებისაო!...

ნანა, შვილო, ნანი ნანა,
ჩემო პაწაწაო,
გასწავლით თოვის სროლასა
და კაცის კვლასაო,
ურჩების ამოელტას,
სისხლის დღვრასაო,
გესლსა, შურსა, უნდობ-
ლობას, ბიროტებასაო!..

ნანა, შვილო, ნანი ნანა,
ჩემო პაწაწაო,
დაიძინე გენაცვალე,
ცოტაც დაგვაცაო
და როცა წამოიზრდება,
ჩემო ლურჯო ცაო,
მაშინ შენ თითონ მიხედები
ავს და კარგსაცაო!

ნანა, შვილო, ნანი ნანა,
ჩემო პაწაწაო,
მანამდის კი მოისვენე,
შვილო გენაცვაო,
ჩემო პაწა ხულიგანო,
ლოთო, ბარბაცაო,
პაპაწკინტელო ჯაშუშო,
პაპე მამასაო!...



სოციალდემოკრატების მოგზაურობა ევროპაში.

ონიმი.



გოკაჩიოს
ნოვალბ.

მეგობრული შურის
ძიება.

სიენაში ცხოვრებდა ორი უპაწევილი
კაცი, კარგი გვარისა და მეტად მდიდარ-
ი. ერთს ერქვა სპინელიოზო, მეორეს
კი ცეპალიმინა. ორივე მეზობლად ცხო-
ვრობდნენ კამოლიაში. ეს ორი მეგობარ-
ი სულ ერთად იყვნენ და გარეგნულ
მათ ყოფი-ქცევაზე, თუ დააკვირდებო-
დი, არ დავიწყდებოდი, რომ ძმავს

უკეთ უყვარდათ ერთმანეთი. ორივეს
მეტად ლამაზი ცოლი ჰყვარდათ.
ცეპას ოჯახში ხშირი სიარულის
დროს სპინელიოზო აკი გადაეკიდა მე-
გობრის ცოლს და კიდევ დაუკავშირდა.
კარგი ხანი გავიდა, მაგრამ ექვეც არა-
ვის აუღია.
ერთხელ ცეპა როგორღაც შინ იყო;
მის ცოლს კი სხვაგან ეგონა და,
როდესაც სპინელიოზო მოვიდა მასთან,
მიახარა, რომ შინ მარტონი არიან
სპინელიოზოც მოგვება ქალს და დაუწყო
კონა. ქალმაც პასუხი ვასცა აღე-
რსზე. ცეპამ თავის ორივე, თვალებით
დაინახა ეს,—მაგრამ ენა დაიდუმდა, მიი-
შალა და დაუწყო მათ თვალ-ყურის
დევნება, ამა, რა გამოვა აქიდანაო.
დიდ ხანს აღარ გამოუვლია, რომ
მოალერსენი ვაგიდენ ცალკე ოთახში
და მაგრად ჩაიკეტეს კარები. ამან
ძალიან აუღმცრია გული ცეპას. მაგრამ
კარგად იცოდა მან, რომ, თუ ვინმეა
ასტეხდა, ამით არასფერს მოიგებდა,
თავის სირცხვილს გამოამტლავებდა და
თითო საჩვენებელი ქმარი შეიქნე-
ბოდა. იქვე ვაგივლო გულში, არ
შეიძლებოდა ვანა შურის ძიება? მა-
გრამ შურის ძიება საიდუმლო, რომე-
ლსაც შეეძლებოდა მისი ნატყენი გულის
მორჩენა! დიდი ფიქრის შემდეგ ის და-
ვიდა იმ დასკვნაზე, რომ ამის მოხერხე-
ბა შეიძლებოდა, მაგრამ სანამ სპინელიო-
ზო იყო მის ცოლთან, არ გამოჩენილა.
როდესაც სპინელიოზო წაბრძანდა, ცეპა
უეტრად შევიდა ოთახში, სადაც იყო
მისი ცოლი. მას ჯერ კიდევ ვერ მოე-
სწრო ტანისამოსის ჩაცმა, რომელიც

დაზღანდარობის დროს გააძრო სპინე-
ლოზო.
ქმარმა უთხრა ცოლს:
— ქალო, რას შერებნი?
— ვერ ხედავ თუ? მიუგო ცოლმა.
— არა.., მე სხვა, რაღაც ვნახე, რი-
სი ნახვა სრულიადაც არ მეპრიანა.
ცეპამ მოითხოვა, რომ ცოლს განემა-
რტა, რაც მოხდა. დიდ ხანს იკეწვილა
ქალმა, მაგრამ ვეღარ დამალა. ბოლო-
საც გამოტყდა მაში, რის უარყოფაც
აღარ შეეძლო. გულ-ახლით უთხრა, რომ
მას ჰქონდა კავშირი სპინელიოზოსთან და
ტირლით შესთხოვა ქმარს მიტევება და-
ნაშაულის. ცეპამ მიუგო:
— ხომ ხედავ, ქალბატონო, რომ ცუ-
დად გაისარჯე და, თუ გინდა, რომ მო-
ვიტევე, კარგად ეცადე, რომ ამისრუ-
ლო ის, რასაც მე დავაგალებ. უთხარი
სპინელიოზოს, რომ ხელ ნაშუადღევს
სამ საათზე ჩამოიცილდეს მე და აქ, შენ-
თან მოვიდეს. ის რომ მოვა აქ, მეც გე-
წინდები. ჩემი ფეხის ხმა რომ ვაიგონო,
ჩააძვინე ის ამ ყუთში და ჩარახე. მეც
შემოვალ და გეტყვი მაშინ, რაც უნდა
ჰქნა მერე. ნურასფერს გეშინია: პირს
გამღევე, რომ არასფერს არ დაუშვებ.
ცოლმა ქმრის გულის მოსაგებად გო-
ველივე ეს ზემიწევით აასრულა.
სპინელიოზო უკვე ყუთში იყო ჩამწყვედ-
ული, როცა ცეპა შემოვიდა და უთხრა
ცოლს:
— ქალო, დროა, რომ ვისადილოთ?
— დიას, სწორეთ დროა, მიუგო ცო-
ლმა.
— სპინელიოზო სულ ახლა ხანად დ-

მკილდა მე, ვილაც მეგობართან წავიდა სასადილოთ. მისი ცოლი მარტო იქნება შინ. გადადექი ფანჯარაზე და დაუძახე, რომ ჩვენთან ისადილოს.

ცოლს ქმრის შიში ცივებასავით უვლიდა გულში და, რასაც უბრძანებდა, ყურ-მოკრილ მონასავით უსრულებდა. ბევრი ხეყნის შემდეგ სპინელიჩოს ცოლი დათანხმდა და მოვიდა. ცემა ერთობ თავაზიანათ მიეგება; ცოლს ყურში ჩაუჩურჩულა, რომ სამზარეულოში წასულიყო; მეგობრის ცოლს მოკიდა ხელი ხელში, მიიყვანა და დასვა ყუთზე, თვითონ კი ოთახის კარები ჩაბრახა. მეგობრის ცოლმა რაღაც აზრი აიღო და შეიხრა:

— ღმერთო მომკალი! ცემა, რას ნიშნავს ეს? ამისთვის მომიწვიეთ მე? ესაა განა შემი, შენი მეგობრისადმი სიყვარული და პატიოსანი მეგობრობა? მაგრაუ ცემა, ყურსაც არ ათხოვებდა, მიეძალა ქალს და იმ ყუთზე, რომელშიდაც იყო გაგლაგნილი მისი მეგობარი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა შემოეჭიდა წელზე სპინელიჩოს ცოლს და თანაც ეუბნებოდა გაფითრებულ ქალს:

— სანამ საყვედურებით გამოიქეკავდე ყურებს, დამიგდე ყური: მე მიყვარდა და ახლაც მიყვარს სპინელიჩო, როგორც ძმა. გუშინ-კი... თუმცა იმან ეს არ იცის, მე დავრწმუნდი, რომ ის განუსაზღვრელი ნღობა, რომელიც მე მისთვის მქონდა, იმან მხოლოდ იმისთვის გამოადგა, რომ ჩემს ცოლს ისე მოქცეოდა, როგორც გეჭკვევა შენ. მე რადგანაც ის მიყვარს, სხვა გვარი შურის ძიებად არ მინდა ვაგო ვარემე მისა, რითაც მან მე შეურაცყოფა მომაყენა. ის გუშინ იყო განცალკევებით ჩემს ცოლთან, ახლა მე მინდა, შენთან ვიყო. თუ რომ შენ არ დამეთანხმებები, მაშინ მე სხვაფერ უნდა ვაგებინო პასუხი შენს ქმარს, რაც არა მგონია, შენთვის სასიამოვნო იქნეს.

ქალი შეშინდა... ქმრის შიშით უარის თქმა აღარ გაგებდებოდა და უპასუხა:

— ცემა ჩემო! თუ რომ შენი შური ჩემით უნდა დაკმაყოფილდეს, მე მაინც არ მინდა, რომ მე და შენს ცოლს შორის ჩამოვარდეს რაიმე შუღლი; თუმცა იმან მომაყენა მე შეურაცყოფა, მე მაინც არ მინდა, რომ მას წავეჩხუბო.

— ხათრი ნუ გაქვს, მიუგო ცემა: თქვენ შორის მე ჩამოვადგებ მშვიდობას და ამას გარდა ისეთ მშვენიერ და ფასდაუღებელ საუნჯეს ვაჩუქებ, როგორც არაყის არ უფის.

ამით მოხდა შეთანხმება და ხვეწნა-კონა. სპინელიჩოს ყოველივე ეს გარკვე-

ვით ესმოდა ყუთში. ბასიდან დაწყებულ კონცანში და ყუთის თავზე „მაზურკის“ მამაშამდე საცოდავ სპინელიჩოს არასფერი არ გამოპარვია სმენიდან. ყოველივე ეს ამბავი ხდებოდა მის თავზე. ისეთი სულიერი ტანჯვა განიცადა, რომ ეგონა, ავერ აქავე დაეღუფ სულსაო და, თუ ცემა არ შინებოდა, საშინლათ გალანძღავდა თავის ცოლს ყუთიდანვე. მაგრამ სპინელიჩომ გაიხსენა, რომ თითვან დაიწყო ამ უსიამოვნო საქმით ეს ისტორია, რომ ცემა მართალია, როცა ასეთ საქმეს ჩადის, რომ იგი მას ამხანაგურათ მოეპყრო. სპინელიჩომ წაუბუტბუტა თავის თავს: აწი უფრო ერთგული ამხანაგიც ვიქნები ცემაში, თუ ის არ გაეჭკვევა მასო.

ამასობაში ცემა გაათავა თავის ელდაკონა-აღერსი და როცა „მაზურკა“ მოთავდა სპინელიჩოს თავზე, ქალმა გამოთხოვა დაპირებული საუნჯე. მყისვე გაალო ოთახის კარი ცემა და მოუწოდა თავის ცოლს. ცემა ცოლს შემოპირთქინდა და ხარხალით სთქვა:

— ქალბატონო! თქვენ მე მამისჯვრის ღავაშში მამზობელა პური გადამიცვალეთ.

— გააღე ყუთი, უთხრა ცოლს ცემა.

— გააღეს ყუთი და ცემა წარუდგინა სპინელიჩო მის ცოლს.

რაღა თავი მოგაწყინოთ! ვინ იცის, ვის უფრო რცხვენოდა და ვისი—სპინელიჩოს ცემაში, რომელიც იცოდა, თუ რა ჩაიდინა მან, თუ მის ცოლის, რომელიც ხედავდა თავის ქმარს და თან ფიქრობდა, რომ მისმა ქმარმა ყოველივე ის იცოდა, რაც მის თავსე მოხდა აქ. ბოლოსაც იყო ცემა უთხრა:

— აი საუნჯე, (უთითა თავის ქმარზე) რომელსაც გიძლენი შენ.

სპინელიჩო ამოვარდა ყუთიდან და პირდაპირ სთქვა:

— ცემა, მე და შენ ქვით! აწი კარგი იქნება, თუ რასაც აქ ჩემს თავზე ამ ჩემ ქალბატონს ეუბნებოდი, ასრულეებ და ჩვენ ძველებურათ მეგობრები ვიქნებით. ჩვენ შორის ყოველსფერი საერთო იყო ცოლებ გარდა. აწი იგინიც საერთო ყუთვნილებად ვაგხადლო!

ცემასაც ეს უნდოდა და მეტის მეტი სიწყნარით და გულდამშვიდებულად ოთხივე მოუსხდენ სუფრას. ამის შერე თითო ცოლს ორი ქმარი ყავდა და თითო ქმარსაც ორი ცოლი; არაოდესაც მათ შორის არ ჩამოვარდნილა არც ჩხუბი და არც მითქმა მოთქმა.

კრიჭა.

ვატხადებ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ მე დამსახურებული მაქვს დიდი პატივი იმ საზოგადოებაში, რომელიც განთქმულია ქალების მოტყუებით. რადგანაც ექვსი წლის პრაქტიკა ნებას მიძლევს შევასწავლო ზოგიერთ ვაბატონებს ის გველაძეობა, რომლითაც შეუძლიან ახალგაზდა ვასაზხოვარი ქალი შეაცდინოს, შვილი შესძინოს და ბოლოს კი მშრალზე დასვას და არც არავითარი სახსარი ცხოვრებისა არ მისცეს, (თითონ თუ გინდ თვეში 200 მან. ჯამგირს ღებულობდეს.) სრული იმედით მაქვს, რომ პატივცემული ამხანაგები მომეხებინან და მიიღებენ ჩემგან ამის შესახებ ყოველგვარ არგვა დარიგებას. ჩემი ადრესი: **ქ. გორი.** სასულიერო სასწავლებელში. განყოფილება: **თბილისში** გოლოცინის პროსპექტი „სამღაასაო“ მალაზია ელიჩკისთან.

პატივისცემით **ა. ფ. ნჯავიძე.**
(უ.—1.)

ვისაც დანოსების ნება ვერ მოუხერგებია და ამ გვართ სამსახურში არ არის დაწინაურებული. ურჩევ მომმართონ მე როგორც გამოცდილს და დახელოვნებულ მედანოსე სულიერ მამას, რომელმაც აწ მოკლე ხანში, რამდენიმე კაცის დაბეზლებით, დეკანოზობა გავიკარ. წუხელის სიზმარში ენახე ჩემი ყოფილი მწყალობელი ბერ მონაზონი ილიალორე, ვასტორგოვი, დიმიტრი აბაშიძე და ექვთიმე ელიევი, რომელთაც ყოველ გვარი დახმარება აღმოაჩინეს, რომ უფრო გაავადართოვო ჩემი ჯაშუშური ნიჭი:

ადრესი: **ქ. დუშეთი** ახლათ გამომცხვარი დეკანოზი დიმიტრი.
(უ.—1.)

მშვენიერათ ესარგებლობ კავშირების სახელით და ვცინცლავ ფულებს მეპურებს- უკიდურეს შემთხვევაში უკიდურეს ზომებსაც მივიმართავ ხოლმე და ეს ისე ჩამივლის—როგორც შარშანდელი თოვლი. პრაქტიკა დიდი მაქვს. არაფრის შიში და არაფრის სირცხვილი არ მომეპოვება; ყველა ამ ხელობას ორი კვირის განმავლობაში ვასწავლი.

ადრესი: ავლაბარში. კახეთის შოსტე.
ა. ქ—ანი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

ახალი ელექტრომეჭდავი სტამბა
აზხ. სოტაძანი

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს დაკლებულ ფასებში.

სტამბა მოთავსებულია მადათონის კუნძულზედ ქს. მუხრანისკის სახლში № 1.



„ბიუჯეტი“ და „ბიუჯეტი.“

კოშკო, ქართველთა დიდებავ,
არისტოკრატთა საზღვარო
გენაქვალს მუშის ოფლით
შეძენილი საბურთალო!

— ამის უკეთეს სიერსა
ვერ ნახავს კაცის თვალეზი;
ჰე, ბიუჯო! დახე ამ ამბავს,
ჩვენ „ბიუჯი“ კი ვენაცვალეზი!...

შეხედე როგორ არია
ქალი და კაცი სუყველა,
ზოგს ცხვირი წამოუსია,
ზოგს თვალი გამოუბნელა!...

შეხედე, ბიუჯო! ქოლიანს
წალმა-უკულმა ტრიოლებს
და „ბიუჯის“ განამწვავები—
დაქრილ დათვივით ღრიოლებს!...

უყურე აბა მის გასწვრივ
წელში ვალუნულ სოსოსა,
„ბიუჯი“ პერანგში უძვრება,
რომ ტანი დაუოსოსა!...

ჰე, ბიუჯო! ერთი გახედე
იმ ქალბატონის სიერსა,
ეგონა „ბიუჯის“ მაჩხუბე
შეიყრებოლა ხეირსა.

აბაბა! ჰა! ჰა! მოუსვი,
სერთუქოსანო ძამია!
თუ კიი კაცი იყავი
რაზე იიგდე თოიასა?!...
ერთი იმ ახმავს უყურე
კეტით, რომ მიიკენება;
სიმწვავისაგან ვერ ამჩნევს—
კეტიდან ნამდილ ცხენებსა.

„ბიუჯისგან“ თავ დასიებულს—
კეტი მერანი ჰგონია!
(ეტყობა თავში საქმოთ
მსუქანი მწყურები ჰყოლია!)
მაგამ... ვეი პლეჩ! ბიუჯები
შეხედე რა რიგ ესევა!
და ვილაც ზურგ უსტროსანი
საბელით თვისკენ ეწევა

ეტყობა-არც თუ ეს არის,
სრულ ჰკვა გონების პატრონი,
თორემ თუ მონა ეგ არის
მაშ ვილა არის ბატონი?...

ან რისთვის მიფრენს ზეითენს,
ან ეესტი რატომ ჰკილია
და ბატის ფრთაზე შემჯდარსა—
საბელი რათ უკილია?!

— შეხე! მიათრევს კეტიანს,
უჩვენებს „ბიუჯის“ ბინასა,

— თვალზე შუშები რათ აკრავს,
ცხვირი რათ უგავს ფინასა?!
— ნუ თუ არ იცი აქამდის
ნიშანი პოეტობისა?—
შუბლზე სათვალე, თმა გძელი,
კალამი მეტირობისა!...

— ჰე, ბიუჯო შეხე იმ კოშკსაც
ყვავების საზღვარსა,
ეტყობა იქ ამბადებენ
შერცხვენას და მუქარასა.
ან იქნებ სამყურნალოა
გარეთ რომ აკრავს ფიციარი?
— ეგ, ბიუჯო რედაქციოა
ზედ აწერია „ის არი.“

— ეხლა კი მიგხვდი ეს ხალხი
იქით რათ მიექანება,—
ალბათ, აბანო ექნებათ
ყველა იქ გაეზანება!...

აგერ შეხედე ექვს კაცსა—
ისრის წინ როგორ ბანაობს!...
ის რალა არის მის გასწვრივ
რალაც ეესტი, რომ ქანაობს?...

— ეგ რუსის რედაქციოა—
შიგ ღვას თავილი სვერანზა,
ჰყილიან „ღუბებს“, საპონებს
წინდებს, ჩექმებს და პერანგსა!...

— აგე იმ ჩირგვნარს შეხედდე? შიგ ვილაღ არის ჩამჯდარი!
 — ეგ „ბზიკის“ საბუღალროა— საიერიშოთ გაშხდარი!
 აი, ის ცხენ კეტიანი მისკენ მიიფრენს მერანსა, უკან ყვავები მოსჩხავის და უსისინებს სპერანზა! ახმაჲ კეტისანს სურს „ბზიკი“

მისცეს ცეცხლსა და ქარ-ბუქსა,— მაგრამ საბრალო ვერ ამჩნევს ამოშვებულ ხელს და „კუქსა“ *)
 — თუ ღმერთი გრწამდეს ამიხსენ: ომი რამ გამოიწვია? ან ამოდენა ლაშქარმა ბზიკზე რათ წამოიწია?!

*) „Шипы“.

— ეჰ! ძმავო ამის ამბავი მეტათ უღმერთოთ გრძელია: უცხომ, მტერმა და მოყვარემ— ყველამ „ბზიკს“ მიყო ხელია! უნდოდათ იმის მოსპობა, დაუწყეს ლანძღვა გინება; მაგრამ იცოდენ არ შერჩათ და „ბზიკმაც“ ომი ინება!..

ბზიკი.



ბენია და ბეშტია

ბენია: გამარჯობა, ჩემო სიცოცხლე, ბეშტი-ოღლი! რა ამბავია შენს საბრძანებელში და განადგურებულ ოზურგეთში?
ბეშტია: ეჰ! ნულარ მკითხავ, ბენი! ოზურგეთის ამბავს... გულს ცეცხლი მეკიდება!..
ბენია: რათა, კაცო რა ამბავია? მართალია, ცოტა რამ მეცკი მეყურება, მაგრამ ნამდვილათ მაინც არვიცი რა ხდება იქ?
ბეშტია: რალა რა ხდება, შე კაცო! გავონილი გექნება, რომ სი—ნა ორაგველიძემ ერ—ე ჯაყელს გოკები დაჰპარა?!
ბენია: თუმცა გავიგონე, მაგრამ ნამდვილათ არ ვიცი!
ბეშტია: ჰოდა! მაშ მე გეტყვი: როგორც კი განაცხ და ჯაყელმა, რომ ორაგველიძემ გოკები დამპარაო და სტაცეს ველი შენ ერმილეს და ვირის აბანოში კი ჩააბძანეს.
ბენია: ეხ! რა გვეთქმის ჩემო ბეშტი! ხომ ხედავ სამართალი უკუღმა ტრიალებს. მაგრამ, სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ ორაგველიძეს ქურდობის მეტრ აღარა აკლარა და ეხლა მავის უნივერსიტეტი დაუსრულებია! მარა, თუ ძმა ხარ! ერთი ე—ლ ხუნდაძის ამბავი შემატყობინე:

პატე აბაშიძე ხომ მოიშორა და ეხლა მგონი არა კაცი აღარ აწუხებდეს იქნება?!
ბეშტია: თუ ღმერთი გწამს ბენი!, ე—ლ ხუნდაძის ამბავს ნულა მკითხავ! კაცო?! საზოგადოება დიობარა და გამოუცხადა, რომ თქვენ ხელი მოაწერეთ ქალაქს და მოვიტხოვოთ, რომ „პალევიო სუღები“ და „ასაღნი პალაქენია“ შემოიღონ ოზურგეთშიო!
ბენია: ფუ! შეურცხვა მავას ვეჯაკობა, აჰა!.. ეგ თავსლაფ დასხმული უკეთეს ვერას მოიგონებდა? მერე და პატეს მოშორება ხომ გაეხარდებოდა, მგონი სულ ჰაერში დაფრინავს სიხარულით არა?!..
ბეშტია: შენგან არ მივივრს, ბენი, რომ მავას მეკითხები? კაცო! პატეს ჩამოხრჩობისათვის ე—ლ ხუნდაძემ კისრის მენდალი და მადლობა მიიღო მთავრობისაგან!..
ბენია: კ—ა კვაშალის საქმე როგორღაა?..
ბეშტია: კ—ა კვაშალი ხომ ე—ლ ხუნდაძის მარჯვენა ხელია და ხულოგანობაში თვით ე—ა კი სჭარბობს!..



ნამდვილი სურათი ნეტარისა მამისა ილიოლორისა.

„ნეტარ არიან ხელნი, რომელნი ამოკლეტენ კრამოლნიკთა და ეამბორებიან მათ დედაკაცი“.

ბენია: მავას კი ქვეყანა იცნობს რა შევილიცა ბძანდება, მაგრამ ეხლა ერთი ეს მითხარი: პატე აბაშიძეს რომ მისაღწეზბდენ ჯუღელში რა ჩაიღინა?
ბეშტია: თავისი თავის შერცხვენა და თავსლაფ დასხმა სხვა რა? ყველას შეურაცხყოფა მიაცენა, ყველანი დააშინა, სტრაჟნიკებს ჯარი მოუშატა და ხალხი სულ აქეთ იქეთ გააფანტინა!
ბენია: ეგ ის ჯუღელი არ არის, ბენი, რომ მოვრალ ვალოშილმა იზვოშკიცი ცემით მოკლა?
ბეშტია: სწორეთ ის შერცხვენილია, მაგრამ რა, განა მარტო ლოთია? ყველაფერი სილორე და სისაძველე მავის ბელშია: ლანძღვა, ცემა-გინება, ქალების არშეიყობა, ჯაშუშობა, ვაიძვერობა, ხულოგანობა და ათასი საზიზღრობა!..

ბენია: თავსლავი დავასხი მაგის ახალ-გაზღობას და შევარცხენიე მაგისთანა „ინტელიგენტი!“

ბეშტია: ის დიდი ხანია შერცხვენილია და თავსლავ დასხმულიც, მაგრამ უკაცრავეთ, ჩემო ბენი, პატარა ხანს დაგზორდებ! ერთი უნდა იმის ამავეი გავიგო-იმ სინდისი გავიდულ—იუდა მღვდლის დავით ღუმბაძისა და ნიკოკი თაყაიშვილის საქმენი საგმირონი. დიდ ფეცა ფუტში არიან. რაც დამსჯელმა რაზმებმა დააკლო ხალხს ესლა ისინი ასრულებენ: გინდა თუ არა სამ სამი მანეთი მოგვეცით, რომ ტლომაჩეც სალინი გაუმართოთ-გენერალ მთირობა მიი-ლო!

ბენია: მშვიდობით, ჩემო ბეშტია! მეტი მოთმენა მოგცეს მაგ ავაზაკის ხე-ლში! იმედია სალილს შენც დაეწრობი?! გეხუმრები, არ გეწყინოს!!!...

ბეშტია: შევარცხენიე მათი სალილიც და ვახშამიც! მშვიდობით!

აღუჯა.

მინ რას ფიქრობს—ღამე ძილი რომ გაუშრამება?

რას ფიქრობდა დეპუტატი—კადეტი (გარეკამდის)? არც ამდენი ლაპარაკით გამოდის რამე. ჩვენ ხალხმა გამოგვგზავნა საქმის გასაკეთებლათ და ჩვენ კი სულ „კომისია“ და „პოლკომისია“ გვაკერია პირზე! არა, საქმეს სხვა ნაირათ უნდა მოუღროთ, თორემ შინ აღარ მიგვესვლე-ბა! მაგრამ... ჯანდაბას ჩვენი თავი! ჯერ-ჯერობით ცრუა მოთმენა კიდევა სჯო-ბია, ეგება საზამთროს სახარჯო ფულე-ბი ვიწვოვო! ხუმრობა ხომ არ არის დღეში თუშანი? ზოგიერთ ჩვენთავანს სი-ზმარშიაც კი არ მოვლანდებოდა თუნე-ბის ჩხრიალი! მერე და ხალხის ჯიბიდან ხომ არ ვიღებთ?—ხალხს რა, რომ ჩვენ ხანია ვძარცვოთ? გახედამ წითელი თუმი-ნაიანი მოგორავს!!! გამოხედად და „კო-მისია“—„პოლკომისია“! ეეებს! საცა აქამ-დის მოითმინეს ჩვენმა გამომგზავნელებმა ცრუას კიდევ მოითმენენ! სულ ერთია: გაზაფხული გავიდა და ესლა მიწები აღარ დასკორდებთ. მეორე—გაზაფხულამდის კი, ან თხა იქნება და ან თხის პატრონი!

გლეხები: არა, ბიძია! თურმე ძალა ჩვენში ყოფილა!.. ისევ ჩვენ თუ მოვეუ-ვლით ჩვენს თავს, თორემ ჩვენ ღმერთიც კი ვეღარ გვიშველის, არამც თუ ღუმე და მთავრობა, კაცო! წაიფილენი იდალო-ცვილიშვილები და ლაპარაკის მტეს არა-ფერს აღარ ფიქრობენ. ღვთის წინაშე კი უნდა სიმართლე ვსთქვათ, რომ კაი სი-ტყვებს კი ხარჯავდენ, მაგრამ რა გამო-ვიდა? მგლის თავზე სახარებას კითხულო-ბდენ და არიქა, მთაზე ცხვარი აიშალაო!

სწორეთ ისეა ჩვენი საქმეც. რამდენიც გვინდა გვეჩინონ და გვიყვირონ, ჩვენ მაინც ხელს არ გავანძრევთ. მაგრამ, მგო-ნი რომ ესლა კი დროა ჩვენც ამოვი-ლოთ ხმა: ეეე! ისევ მუშები, თორემ ჩვენი საქმე წასულია!

თავად-აზნაურობა: ახ! რა დრო და-გვიღა? ჩემს დღეში ხელი არ გამინძრე-ვია და ესლა კი ზურგით ფიხს მოვა-თრეე! კიდევ კარგი, თუ სოფელში და-მაყენეს, თორემ ღვთის წყალობა გაქვს, რომ ამოგვიფუტხუნებენ, თითქო ნიშა-ღური წაუსვითაო ისე გავრბივართ ქა-ლაქში, ეგების იქ მაინც შევიფაროთ თა-ვი და სიკვილს ვაღაწრეთ! კიდევ და-ლოცა ღმერთმა პრისტავ-ნაჩალნიკები, თორემ ჩვენი საქმე ძალიან ცუდათ იქ-ნებოდა! ხომ იცით, თითო სოფელს თი-თო ოხერი არ გამოეღევა, საითაც გვი-ხელო ყველგან თაყაიშვილებისთანას (აი ნიკოკის რომ ეძახიან), მგლოძისთანას, ცომიასთანას, კეილიასთანას (ეეე, ბიჭო! რა დღე დააყენა „ბზიკის“ გაზეთს? ისე-თი ბიჭობა გამოჩინა, რომ ერთ საათში მოსპო იმის სახსენებელი კითხურაში! ჩე-მი კნენა სულ იმის ქებაშია და ჩემი ქა-ლი ხომ სუ კისერზე ებლაუქება). რა ვი-ცი კიდევ რამდენი ოხერია? ე კნიაყებს ხომ გვისაღებენ და სხვა რაღა? ბუნტო-ვიკება და შიშით სოფელში აღარა ჩნდე-ბიან!—ხელო უნდა ყველა ჩვენ მეზობ-ლებს შევატყობინო, რომ უქვევლათ თავად-აზნაურობის კრება გავამართვიროთ, და უქვეშვედლომდღესი ღებეშა გავგზავ-ნოთ, ეგების ჩვენი კნიაყენი ქრისტე-ს მოყვარე მხედრობის ოფიცრებს ჩამოუ-რიგონ, რომ მომავალში ბუნტოვიკების მაგიერ, სულ წენისთანა ხულიგნები დაიბანდენ, თორემ შენი მტერია, ჩვენს შვილებს დღე დაადგებათ! ისე მრავლდე-ბიან ე შეჩვენებულ კრამოლინიკები, რა-გარკ სოკობენ—და ერთი ოციოდე წლის უკან თავად-აზნაურობის სახელიც კი მოისპობა. აფსუს! აფსუს! რომ ჩემი სო-ფლის გლეხების ცოლ-შვილს ძაღლებზე არა ვცვლი და ურემში არ ვაბამ! ეეებს, ღრობებ! მახლს!

ზღანოვიცი: ეს რა უბედურება დამა-ტყდა თავზე? ცხერი ისე ვეღარ დამი-ცემინებია, რომ „ღვთის რისხვა არ მო-მძახინა! ყველაფერი კარგი, მაგრამ ის სამოცი თუშანი სადღა გამოჩხრიკეს, ამ თხუთმეტი წლის წინეთ რომ სააქციო-ნერი საზოგადოება შესდგა და კირილე ღლორტიფანინის ჩავაბარეთ? კაცო! რა-ყოფილა ეს ოხერი „ბზიკის“ რედაქცია? ღამის არის გამატიტვლოს და ხალხს ისიც კი დაანახვოს ტანზე, სად რა ნი-შანი მაქვს! სამას-სამოცდა-სამო წმიდა

გიორგიე! შენ დამიფარე „ბზიკის“ კბე-ნისაგან და თანმშრომლების ენისაგან.

გურიის აღმინსტრატორები: დღეა! ვეი პლეე! რავე მოვეფიქრებდით, თუ ვინმე წყენას გავვიბედავდა? მარა საქმე იმაშია, რომ შორს ვართ და ჩვენი მა-თარხების წვერი თფლისამდის ვერ მი-წვდება, თორემ სიციხლე მიეცა ნიკო-კის და მის დამქაშებს სულ ბღღერის ავა-დენდით ზურგზე—ვილაცა ეშმაკია და ქაჯი! კაცო! ისე მოგვეგარეს, ისე მო-გვიხუნეს, იმდენი თავსლავი დავასხეს, რომ ცხენისწყალი, რიონი, ტხეურა, აბაშა და ენგური რომ შეერთდენ—ჩვენ მაინც ვერ ჩამოგვრეცხავენ ამ ლაფს. მა-გრამ ჩვენთავის ხომ სირცხვილი აღარ არ-სებობს? მერე ისიც ვისი უნდა შეგერ-ცხვს? ვილაცა ბუნტოვიკებისა? იმდენი ნურა წამოსტკინით რა იმათ! ეს ერთი საქმე კი ჩაივლინეთ, თქვენ ნუ ტმეიკე-დებით! მთელი ოზურგეთის ეპკრები აგენ-ტებათ გაიხიადეთ და ჯაშუშების ემბაზში მოვანთლეთ. გავიხარით, გურია გავ-წმინდოთ „კრამოლისაგან“. თუ ვინციო-ბაა, რომელიმე ეპკარი მოკვდა! ნახეთ ავა რავე დავასაფლავებთ! წინ, ბატონო ეკლის გვირგვინს წაუფმძღვარებთ, უკან ძაღლების ხროვას „ბზიკის“ მაგიერ და ჩვენც პარადნი მუნდირებში გამოწყობი-ლი სატერო ჰიმნს შემოგსძახებთ.

დანარჩენი ნაებენები: როგორ დომ-ხალივით აგვრია ერთმანეთში რალაცა ჯანდაბა „ბზიკის“ და ყველას სათითაოთ გვიკნინა. იესო ქრისტეს მადლსა ვეფი-ცავ, რომ თუ „ისიას“ აპერაცია არ ვა-ქნევინეთ, ჩვენი საქმე ცუდათ წაეა. კა-ცო! მოგვეო ხელი და, შენს მტერს, იმან დღე დაგავყენა, ზოგს ცხვირი და-გვისია, ზოგს მთელი ტანი და ესლა მე-ტი გზა აღარ არის, ისევ „ისარი“ თუ დავგვიამებს სიმსივნეს, თორემ არ ვიცით, რა მოგველის. ღვთის წინაშე „თფლი-ისის ფურცელსაც“ აქებენ დოსტაქრობა-ში და ისიც უნდა ენახოთ.

ჩვენი დრო.

(ანასტასი ბრიუნოვანი).
მკაცრი მსაჯულნი—შავთ მოსილინი—
შემოსხლომიან მწუნან მაგილას;
და მოწინებთ მისჩერებინან
სანთლებ დანთებულ იესოს ჯვარცმის ხატს.
უნდა განსაჯონ ესლანდელი დრო,
რადგანც დღეს იგი სულ სხვა გვარია:
სისხლით აავსო მთელი ქვეყანა
და ყველაფერი არივ დარია!..
მოხუცებულ დროს მათთვის არ სცალის,
მას დრო არ რჩება მსაჯულთ უსმინოს
და წარსდგეს იგი წინაშე მთისა,—
ყველა კითხვაზე პასუხი უგოს.



თუმც მსაჯულები ღიძნანს ელიან; მაგრამ დრო კი სულ წინ მიისწრათ და ამიტომაც მისი ვეჭოლი ჩვენ დროს მაგიერ სამსჯავროს მოდის

და მოახსენებს: „დრო წმიდა არის, მისთვის უფლებდა თქვენ მისი არ გაქვს, რომ იგი ზიზღით მოიხსენიოთ! აი პასუხიც თქვენთვის მზათა მაქვს: „ეზღონდელი დრო მიივებს ქალაქს „ჯერ დაუწერავს და ულაქავს; „თქვენ კი გადარბობთ მასზედ წარწერას! „მაშ ეს, ქალაქი ეიღამ განსაჯოს, „რომ ის წარწერა, სიმათლის ნაცვლით, „სისულელეს და ბორბლს ქადაგობს?!

„დრო იგივეა, რაც ბროლის თასი! „მაშ დამნაშავეთ თქვენ ვის დასახავთ? „რომ ამა თასში, ლენის მაგიერ, „სიბინძურესა თქვენ თვითონ ასხავთ?!... „დრო სასახლე! სდაც თავსა გრძნობ, „ვით განდევნილი, მყუდროთ და კარვით „და თქვენ კი იგი, თქვენივე ხელით, „გადააქციეთ როსკითა სახლათ!...“

„დრო მინდორია! მაგრამ თქვენ მასზე „მხოლოდ ეკალი დაგითვითათ „და რალათ გიკვიროთ, თუ თქვენ თვალეხსა „იქ ყვავილები ვერ უზოვიათ?!... „აქ ამ მინდროზე უკვდავ ცეხარსა „შეეძლო ბრძოლა ეჩაღებინა „და თავის მტერი იმის სივრცეზე „შეშინებული ერბინებინა!

„დრო ქარი არის! და თუ მის სიმებს „უკლინარი შეეხებოდა,— „ახლო მახლოში კატის ქნავილი „და ძაღლის ყუფა გაისმებოდა!... „მაგრამ თუ სიმებს, კარგი დამკერული,

„როგორც ორფეი, დააკენსება: „ტყე მოუსმენდა, ზღვა და ხმელეთი, „ქეაც კი მის სმენათ გადაიქცეოდა“!...
მიმინო.

პაწუი პაროსტინი.

ღამფორინეს, როგორც შარშან უშიზეზოდ, არაფრათა; მხოლოდ მისთვის, რომ სტოლიბინს არ ვემონე სულ მთლათ ბრმათა!...

ბ-ნო.

ბ-ნო. „რუს. ვეღამ.“ ანგარიშით რუსეთის თითო ჯაეშინან გემს ორ ნახევარი უმალ-ლესი შეზღვეული მოხელე ყავს ოცდა თუთხმეტი ათასი მანეთის ჯამაგირით, გარეშე იმისა რასაც აწვანის ახალ სამხედრო გემების აშენების გარიგებაში და მანიორების დროს (მაშინ ორჯელ მეტს იღებს). ამ რიგად რუსეთის საზღვაო ძალა ჯამაგირების და ქრთამების გაძლიერებულ მოხვეჭაში ყოფილა!

ღეპეუები.

(„მასხარას საკუთარი კორესპონდენტებისაზან“).
პეტიტაზუბი. — არავითარი არეულობა არ არი და არც მომხდარა.
რომი. მემარტბენ ვახეთები ძლიერ ნასიამოვნები არიან დუმის დათხოვნის გამო. სტოლიბინისთვის აღრეს აღგენენ.
პარიზი. ქუჩებში დემონსტრაციები იმართება, აღტაცებულნი არიან... დუმის დათხოვნის გამო.
სტამბოლი. — სულთანი ძლიერ შეწყუხებულია დუმის გარეკის გამო.
თეირანი. შახი ეშხვლ მოვიდა... რუსეთის მაგალითს უნდა წაბადოს.

ნიუიორკი. ქუჩებში დიდი მოძრაობაა. მიტინგები იმართება... ამერიკელები აღტაცებაშიდ მოდიან მთავრობის გამჭრიახობით.

პარაშა. ცა მოიღრუბლა.. ქარიშხალი მოსალოდნელია—ჯერჯერობით სიწყნარეა. დუმის გარეკას დამწვინებებით მიეგებენ.

თბილისი. „ესიო ობსტოიტ ბოვაგოლოღწრა“.
კიევი.

ბაქო. მუშებში არავითარი მოძრაობა არ არის. ახალი კანონი არჩენების შესახებ კმაყოფილებას იწყვეს **სეპასტროპოლი.**

ფოთი. ამას წინეთ გაზეთებმა მეტად სენსაციონური ცნობა გვაუწყეს: ბაქოელები თავს დაემებნო (ალბათ დაკარგვით) და სხვათა შორის ექვი მოუტანიათ ფოთზე.

ფოთელები. ამერიკიდან საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენ არავითარი თავი არ მოგვეპოვება. არც ბაქოსი და არც სხვისი.
ხუშარა.

პეტიტაზუბი.—პუროშევიჩის ტკრუმე-ვანს მთავრობა სასტიკათ დაემებს დუმაში „კრამოლურ“ რენების წარმოთქმისათვის.

შიათურა. რადგან ახლო მომავლში გაფიცვა არ არის მოსალოდნელი, —შავი ქვის მრეწველნი გახარებულნი არიან და დაელურს თამაშობენ.

მოსკოვი. რკინის გზაზე წესიერი მიმოსვლა ორთქლის მატარებლებისა. 40% სახელმწიფო რენტა 105 მ. ავიდა. ბრევა გამოკოცხდა. სარგებლიანი ქალღღებების დიდი მოთხოვნაა.

ლონდონი. ლორდა პალატა. გვიშეკითხა მთავრობას—რა ზოკებია მიღებული აღმოსავლეთში მომავალ არეულობის ჩასაქრობად და ინგლისის ქვეშევრდომთა ინტერესების დასაცველად. გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა: მოსალოდნელ არეულობის ჩასაქრობათ ბრიტანის ესკარდს ბძანება აქვს მიცემული, ყოველ შემთხვევისათვის მზათ იკოს...
საერთო ტაშის ცემა. პალატა მორიგ საქმეებზე გადადის.

ოჭარბათი. 27 მაისს ტოლმაგევის გენერალ მიოორის ხარისხამდის აყვანის პატივსაღებლათ ქალაქის ბალში სადილი გამართეს. წინა დღით ამ მიზნით სახელოვანმა „მანტაესტებმა“ მღვდელმა დავით დ—ქემ და ნიკოკი თ—შვილმა ხალხი გაძარცვეს. ზოგს სამსახში მზათი წარათვეს, ზოგს ორობის. სადილის შემდეგ ქიდაობა და ლეკური გაიმართა.

მღვდელმა დაეთიამშვენიერათ შესარულა ახალი ცეკვა „კეკუოიკი.“ ნიკოკი ყირამალა თამაშობდა და დამსწრე საზოგადოება წაცემი დაიშალა. ამ საქმის გამო სასტიკი გამოძიება სწარმოვებს.

შუთისნი: ფოთის ქალაქის თავს. გიგზავნით ათას მანეთს ქალაქის საქირობისათვის. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს.

ახოვოდონსკის ბანკის ქუთაისის ბანკოფილუმის გამგე **ტერტერ-ზახაროვი.**

ფოთი: ქუთაისში ტერ-ზახაროვს. ათას მანეთს მოვიხმართ ქალთა სასწავლებლისათვის გიგზავნით ათათას მადლობას. მოწაფეები თქვენ სადღევრძელოს ბაღში ღმერთით მიირთმევენ, დედები სობოროში პარაკლის გიხიან.

ფოთის ქალაქის თავი **ნ. ნიკოლაძე.**

შუთისნი: ფოთში ნიკოლაძეს. სულ არარობას ცალი ხარი სჯობიაო. ათასის მანეთის მაგერ ხუთასს გიგზავნით. ამაზედაც მადლიერი დარჩებით იმედია.

მამზე **ტერტერ-ზახაროვი.**

ფოთი: ქუთაისში ტერტერ-ზახაროვს. თავში იხალე შენი ხუთასი მანეთიც. შენი მოსატყუარი კბილი დიდხანია მოვიცვალეთ. ჩქარა უკან დაგვიბრუნე ჩვენი მადლობა.

ნ. ნიკოლაძე.

არხანგელსკი. ციმბირელებმა გამოგზავნეს დეპუტაცია კოწია შორაპნელის უღრმესი მადლობის მისაფეშქაშებლად ღმამა ეფრემის ქირისუფლების მისასამძირობლად.

ჟირილა. წამოვიდა დეპუტაცია ციმბირელებისა და რაღა იყო მათი განცვიფ-

რება, რომ, ვისი დატირებაც უნდოდათ, ცოცხალი წინ მოგვებათ ხატებით. დეჯვრით, მათს აღტაცებას დასასრული არა აქვს და მიეცენ სრულ ზემისა და მხიარულებას.

შორაპანი. (არხანგელსკში), თუმც არ მივიღებთ სახეში, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი,“ ვის დასატირებლადც გამოგზავნეთ, ცოცხალია...

თქვენი დეპუტაცია.

ჰიათურა. ილიკო კაკაბაძე მახარბის მათრახებისაგან ჯაფარასავით აქრელდა. ტანზე ნეშის კუნწი აღარ ეტევა. მოსარჩენათ კოწია ცომაია და მღვდელი შენგელია გამოიწვიეს.



გადაუკაპა!

პასუხათი შ. შუშანიკა დავილოვისას.

გაზეთ ლაზარში მოთავსებულია თქვენი წერილი სადაც ჩვენ გვეკითხებით: რა მოსაზრებით იყო დაბეჭდილი ოხუნჯის სახუმარო მანცხადება შიო დავილოვის შესახებო. დროს დაკარგვად მიგვანია ასეთ შეკითხვად პასუხის გაცემა, მაგრამ მაინც ვასრულებთ თქვენ კაპრიზს, ოხუნჯის № 1 შიო დავილოვის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის დაბეჭდილი.

მართალია იმავე № დაბეჭდილია სახუმარო განცხადება ბათომიდან, რომელიც თავდება შემდეგი სიტყვებით: „აღრსი ბათომი ადავილოვი“, არა ბევრა რომ ამ განცხადება-

ზედ იყოს ლაბარაკი, თუ ეს ასეა უნდა მიფიქროთ რომ თქვენ ქართულის წაკითხვა არ გცოდნით... რაშიდაც ჩვენ სრულიად დამნაშავენი არა ვართ. დასასრულ ვერ მაგვიგია თუნდ შიო დავილოვსაც შეგებოდეს თქვენ აქ რა შუაში ხართ და ან პირი რათ აგწვიათ?. ამით ვათავებთ თქვენთან ყოველ გვარ კამათს.

„ოხუნჯის“ თანამშრომლები. („ემშაკს“ ბარდა)

ჩიდაძეისისაზან.

რადგანაც ჩვენი ჩიდაძეა არ ბეკდავს ხელ მოუწერავ წერილებს და არ კისრულობს ამა თუ იმ პირის შესახებ პასუხის მგებლობას. საყოველთაოთ აცხადებს, რომ წერილებზე უმკველათ აღნიშნული იყოს სახელი და გვარი ავტო-



რისა და ფოშტის ადრესი, რომ რედაქციას შეეძლოს საჭირო განმარტებისათვის პირდაპირ ავტორს მიმართოს.

ჩვენი მკითხველების და სხვათა საყურადღებოთ ეცხადებთ, რომ „ბუჩის“ №2-ში დაბეჭდილი ლექსი „დაშნაკელების გმირობა“ პირდაპირ ეხება „დაშნაკაკან-მირანაკანების პარტიას ავღაბარში“ და არა „სოციალისტ-დაშნაკაკანებს“

მახსარის ფოსტა.

ყვირილაში—კ. ს. თუ ავრე გეშინოდათ, ს. აბაშიძის და მისი კამპანისი, თქვე დალოცვილო, წერილს რალზე გეწერდით?—რედაქცია არავეს არ გაცემს—მაგის შიში ნუ გაქეთ.

იქვე—გ. ი. არ გვეჯრა ეგ ამბავი, თუ სახუთ გამოგზავნით თქვენი პასუხის მგებლობით დე ბეკდავო. საჭიროა სახელი და გვარი მათი ვინც სადილისათვის ფულებს აპროვებდა.

რედ. გამომცემელი **კ. ვინეცკი.**